პოზიციის დასახელება: რეინჯერი

დამსაქმებელი: შპს ნიუ ჰოსპიტალი, შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, ახორციელებს უნივერსიტეტის სტუდენტების/კურსადამთავრებულების სტაჟირების ხელშეწყობას.

კვალიფიკაცია: სამედიცინო მიმართულების სტუდენტი (მესამე კურსიდან)

სამუშაო გრაფიკი: თვის განმავლობაში 7,5 მორიგეობა (24 საათიანი)

ანაზღაურება: ხელზე გასაცემი 250 ლარი

შესასრულებელი ფუნქციები:

- პაციენტის ტრანსპორტირება: დიაგნოსტიკურ-ლაბორატორიულ კვლევებზე, საოპერაციოსა და პალატაში;
- პაციენტის გადაწვენა საწოლიდან საწოლზე, გადატრიალებაში დახმარება;
- განყოფილებიდან ლაბორატორიაში ბიოლოგიური საკვლევი მასალისა და პასუხების მიწოდება;
- ცენტრალური აფთიქიდან მედიკამენტების მიწოდებაში დახმარება;
- მოახდინოს კოორდინაცია სხვა სამედიცინო პერსონალთან, სამუშაოს ეფექტურად შესრულებისათვის.

მოვალეობები:

- გამოცხადდეს სამსახურში სათანადო სამუშაო ფორმაში (განსაზღვრულია კლინიკის სტანდარტებით);
- გამოცხადდეს სამსახურში დროულად, რათა იყოს მზადყოფნაში სამუშაო საათების დაწყებამდე;
- ეფექტურად გადაანაწილოს სამუშაო დრო, შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები პრიორიტეტების მიხედვით;
- გამოცხადდეს დაგეგმილ სწავლებასა და შეხვედრებზე, არასამუშაო საათებშიც;
- დაიცვას ეთიკის ნორმები პაციენტებთან, მათ ახლობლებთან და კოლეგებთან კომუნიკაციის დროს;
- დაიცვას პაციენტისა და კლინიკის კონფედენციალური ინფორმაცია.

დამატებითი მოთხოვნები:

- ფიზიკურად ძლიერი, გამძლე;
- სამედიცინო მანიპულაციებისათვის განკუთვნილ, შეზღუდულ სივრცეში მანევრირების უნარი;
- სტრესულ გარემოში ადაპტაციის უნარი.

დაინტერესების შემთხვევაში მიმართეთ მედიცინის ფაკულტეტის დეკანატის სპეციალისტს, მარიამ სვანიშვილს.